გამოყენების ინსტრუქცია

პიხტის მალამო

წამლის ფორმა

მალამო გარეგანი გამოყენების, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანთების საწინაარმდეგო საშუალება

შემადგენლობა:

1 გ მალამო შეიცავს: აქტიური ნივთიერება: სოჭის ზეთი - 70 მგ

დამხმარე ნივთიერება: ვაზელინი - 930 მგ

გარეგნული აღწერა: პრეპარატი წარმოადგენს ღია-მოყვითალო ფერის მალამოს, სპეციფიკური სუნით.

გამოშვების ფორმა: 20 გ მალამო პოლიეთილენის ფლაკონში

ფარმაკოლოგიური თვისებები

კანზე წასმისას მალამო დიფუნდირდება ცხიმოვანი და საოფლე ჯირკვლებიდან, საიდანაც მუდმივად შეიწოვება, იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას, აუმჯობესებს სისხლის მომარაგებას, ანთების დროს აჩქარებს გაწოვას, გრანულაციური ქსოვილის ზრდას, ჭრილობების ეპითელიზაციას.

გამოყენების ჩვენებები

პიხტის მალამო გამოიყენება ჭრილობების, დამწვრობის, ეგზემის, დერმატიტების, ბურსიტების, ქსოვილების ტრავმული დაზიანებების დროს.

გამოყენების წესი, დოზირება

პრეპარატის თხელ ფენას უსმევენ სუფთა დოლბანდზე და ახვევენ ჭრილობას. შეხვევას აწარმოებენ დღეში ორჯერ გამოჯანმრთელებამდე.

მალამოს წასმა შეიძლება უშუალოდ დაზიანებულ უბანზე მსუბუქი შეზელვით. დაზიანებების და მასტიტების დროს გამოიყენება მალამოს თბილი სახვევები.

გვერდითი მოვლენები

მალამოს გამოყენება ცხოველებში არ იწვევს გვერდით მოვლენებს და გართულებებს.

უკუჩვენებები

დადგენილი არ არის

შენახვის პირობები

ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს $25^{0}C$ ტემპერატურისა.

ვარგისობის ვადა: 2 წელი

მწარმოებელი: შპს „ბიოტეკსი“, საქართველო, თბილისი, იუმაშევის #8.